სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №-O27/03

საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებები (CPV75240000)

ქ. თბილისი 16 მარტი 2023 წ.

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (ს/ნ 445393510)** (შემდგომში „შემსყიდველი“), **წარმოდგენილი ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის, დავით დიასამიძეს (პ/ნ 61002013576) სახით**, ხოლო მეორე მხრივ, **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო (დეპარტამენტი) (შემდგომში სააგენტო/მომსახურების გამწევი) (ს/კ 202191289)** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის **ზაზა ფანცულაიას** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება'' - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3 „მიმწოდებელი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4 „მომსახურება“ – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოების შესრულების და მომსახურების გაწევის სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის №308 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-14 პუნქტის ა), ა.ბ) და ა.ბ.ა) ქვეპუნქტებით, გათვალისწინებული მომსახურება - **შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმის შემუშავება** (კოდი: CPV75240000).

მუხლი 3. ხელშეკრულების პირობები და ღირებულება

3.1 ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება **50 (ორმოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში,** მისამართზე მდებარე შენობა=ნაგებობებისათვის, კერძოდ:

- ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება, მისამართზე ქ. ბათუმი მელიქიშვილის ქ. N81 (შენობის საერთო ფართი 138,52 კვ.მ.) - ღირებულება **200 (ორასი) ლარი;**

- №1 საბავშვო ბაღი, მისამართზე ქ. ბათუმი ზ. გორგილაძის ქ. №25 (შენობის საერთო ფართი 236,52 კვ.მ.) - ღირებულება **200 (ორასი) ლარი;**
- №4 საბავშვო ბაღი, მისამართზე ქ. ბათუმი მელიქიშვილის ქ. №8ა (შენობის საერთო ფართი 1362,83 კვ.მ.) - ღირებულება **272,56 (ორას სამოცდათორმეტი ლარი და ორმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი;**
- №6 საბავშვო ბაღი, მისამართზე ქ. ბათუმი ინასარიძეს ქ. №22ა (შენობის საერთო ფართი 1731,98 კვ.მ.) - ღირებულება **346,39 (სამას ორმოცდაექვსი ლარი და ოცდაცხრამეტი თეთრი) ლარი;**
- №10 საბავშვო ბაღი, მისამართზე ქ. ბათუმი აღმაშენებლის ქ. №10ა (შენობის საერთო ფართი 1830,56 კვ.მ.) - ღირებულება **336,12 (სამას ოცდათექვსმეტი ლარი და თორმეტი თეთრი) ლარი;**
- №13 საბავშვო ბაღი, მისამართზე ქ. ბათუმი სულაბერიძეს ქ. №49 (შენობის საერთო ფართი 712,23 კვ.მ.) - ღირებულება **200 (ორასი) ლარი;**
- №14 საბავშვო ბაღი, მისამართზე ქ. ბათუმი ვაჟა-ფშაველას ქ. №83 (შენობის საერთო ფართი 1349,24 კვ.მ.) - ღირებულება **269,85 (ორას სამოცდაცხრა ლარი და ოთხმოცდახუთი თეთრი) ლარი;**
- №17 საბავშვო ბაღი, მისამართზე ქ. ბათუმი მელიქიშვილის ქ. №104 (შენობის საერთო ფართი 727,29 კვ.მ.) - ღირებულება **200 (ორასი) ლარი;**
- №18 საბავშვო ბაღი, მისამართზე ქ. ბათუმი მაიაკოვსკის ქ. №3 (შენობის საერთო ფართი 1237,70 კვ.მ.) - ღირებულება **247,54 (ორას ორმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდათოთხმეტი თეთრი) ლარი;**
- №21 საბავშვო ბაღი, მისამართზე ქ. ბათუმი ლერმონტოვის ქ. მიმდებარედ (შენობის საერთო ფართი 1450 კვ.მ.) - ღირებულება **290 (ორას ოთხმოცდაათი ლარი) ლარი;**
- №22 საბავშვო ბაღი, მისამართზე ქ. ბათუმი ლესელიძის ქ. №5 (შენობის საერთო ფართი 1762,59 კვ.მ.) - ღირებულება **352,52 (სამას ორმოცდათორმეტი ლარი და ორმოცდათორმეტი თეთრი) ლარი;**
- №25 საბავშვო ბაღი, მისამართზე ქ. ბათუმი ფრ. ხალვაშის გამზირი №102ა (შენობის საერთო ფართი 295,22 კვ.მ.) - ღირებულება **200 (ორასი) ლარი;**
- №31 საბავშვო ბაღი, მისამართზე ქ. ბათუმი ტაბიძის ქ. №14 (შენობის საერთო ფართი 1914,29 კვ.მ.) - ღირებულება **382,86 (სამას ოთხმოცდაორი ლარი და ოთხმოცდაექვსი თეთრი) ლარი;**
- №32 საბავშვო ბაღი, მისამართზე ქ. ბათუმი მეჯინისწყალის დასახლება (შენობის საერთო ფართი 1000,6 კვ.მ.) - ღირებულება **200,12 (ორასი ლარი და თორმეტი თეთრი) ლარი;**
- №33 საბავშვო ბაღი, მისამართზე ქ. ბათუმი ურეხის დასახლება (შენობის საერთო ფართი 2880,34 კვ.მ.) - ღირებულება **576,07 (ხუთას სამოცდათექვსმეტი ლარი და შვიდი თეთრი) ლარი;**
- №34 საბავშვო ბაღი, მისამართზე ქ. ბათუმი ცოტნე დადიანის ქ. N14 (შენობის საერთო ფართი 2429,03 კვ.მ.) - ღირებულება **485,81 (ოთხას ოთხმოცდახუთი ლარი და ოთხმოცდაერთი თეთრი) ლარი.**

3.2. ამ ხელშეკრულებით 3.1 პუნქტის შესაბამისად მომსახურების **ჯამური ღირებულება შეადგენს 4759,84 (ოთხი ათას შვიდას ორმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი) ლარს.**

3.3 ამ ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში გასაწევი მომსახურების დასრულების დრო აღინიშნება მხარეთა შორის გასაფორმებელ მიღება-ჩაბარების აქტში.

3.4 ამ ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3.5 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება

ხელშეკრულების პირობები შემსყიდვლისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.6 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივლისის ჩათვლით პერიოდი.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას ხელი შეუწყოს და საჭიროებისას სათანადო დახმარება აღმოუჩინოს მიმწოდებლის წარმომადგენლებს თავიანთი საქმიანობის განხორციელებაში;

ბ) მიმწოდებლის წარმომადგენლებს დროულად და სრული მოცულობით მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მომსახურების ჯეროვნად შესრულებაში;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჯეროვნად შესრულება;

ბ) განახორციელოს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 5. ხარისხი

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება მაღალი ხარისხის, უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5.2 შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს როგორც სამუშაოს შესრულების დროს, ასევე, ამ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ დროს, რამდენად ხარისხიანად განახორციელა სამუშაოს შესრულება მიმწოდებელმა.

მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით (რეკვიზიტების შესაბამისად).

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისიწინებული მომსახურებისთვის მიმწოდებელს აუნაზღაუროს მომსახურების საფასური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ყოველ ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოსა და გაწეული მომსახურებისთვის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 7. „ფორს-მაჟორი“ და ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების

მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

7.4 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისათვის, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება დასაშვებია მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის წერილობითი შეთანხმებით.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 10. დავების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება, თუ რომელიმე მხარე უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს წინასწარ.

11.2 მხარეებს მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 12. სხვა პირობები

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებლის მიერ განხორციელებული მომსახურება, მიუხედავად იმისა, სრულად შესრულდა თუ ნაწილობრივ, დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ორი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები:

13.1. შემსყიდველი - ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (ს/ნ 445393510) საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22 ანგარიში - 740737005

იურიდიული მის: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. N25;

ტელ: 577 19 61 11;

ელ.ფოსტა: lawyer.genadimalakmadze@gmail.com

13.2 მიმწოდებელი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო (დეპარტამენტი)

ს/კ 202191289

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი - TRESGE22, ანგარიში - 707137049;

მის: ქ. მცხეთა, ფარნავაზ მეფის ქ. №1

ტელ: 241-70-95

ელ.მის: service@es.gov.ge

შემსყიდველი:

ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების
გაერთიანების დირექტორი
დავით დიასამიძე

Kindergartens Union of Batumi

Digitally signed by Kindergartens Union of Batumi
Date: 2023.03.20 11:40:35 +04'00'

_____

მიმწოდებელი:

LEPL - State Reserves and Civil Security Services Agency in the field of Emergency Management Services

Digitally signed by LEPL - State Reserves and Civil Security Services Agency in the field of Emergency Management Services
Date: 2023.03.16 12:17:46 +04'00'

სააგენტოს უფროსი (დეპარტამენტის თავმჯდომარე)
ზაზა ფანცულაია

_____